ბარათი 1. კომერციული ბანკი (ბანკი)

რა არის კომერციული ბანკი?

კომერციული ბანკი ფინანსური ორგანიზაციაა, რომელიც მომხმარებლებს სხვადასხვა მომსახურებას სთავაზობს. ეს ის ადგილია, სადაც ვინახავთ ფულს და ვიღებთ სესხს, ვგზავნით ფულად გზავნილებს საქართველოსა და უცხოეთში, ვიღებთ (ვყიდულობთ) საგადახდო ბარათებს და ვიხდით სხვადასხვა გადასახადებს: მაგალითად, წყლის, ინტერნეტის ან ელექტროენერგიის გადასახადს. როდესაც საუბრობენ ბანკებზე, ძირითადად, სწორედ კომერციულ ბანკებს გულისხმობენ. კომერციული ბანკები ემსახურებიან როგორც ფიზიკურ პირებს, როგორიც თითოეული თქვენგანია - ისე იურიდიულ პირებს (ბიზნესებს, საწარმოებს).

რა მომსახურებას გვთავაზობს ბანკი?

- მომხმარებლებისგან ფულის მიღება და დეპოზიტზე განთავსება
- ფულის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე გასესხება
- ფულადი გადარიცხვების განხორციელება (ანგარიშიდან ანგარიშზე)
- ფულადი გზავნილების განხორციელება (მაგ., საქართველოდან ესპანეთში)
- ინტერნეტით განხორციელებული გადახდების დამუშავება
- კომუნალური გადასახადების გადახდა
- ფულის სხვა ვალუტაში გადაცვლა/კონვერტაცია
- საკრედიტო და სადებეტო ბარათების გაცემა
- სეიფების გამოყოფა ძვირფასეულობისა და დოკუმენტების შესანახად

რა მნიშვნელობა აქვთ ბანკებს?

ბანკებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის, რამდენადაც ისინი არიან შუამავლები დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის: კომერციული ბანკები იღებენ დეპოზიტებს მოსახლეობისა და კომპანიებისაგან, შემდეგ კი ამ თანხას გაასესხებენ სხვა ადამიანებსა და საწარმოებზე. ამ გზით, ფინანსდება ბევრი ახალი ბიზნეს-ინიციატივა, იქმნება ახალი და უმჯობესდება არსებული პროდუქტები, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები და. ა.შ. გონივრულად აღებულ სესხს მოსახლეობის ფინანსური კეთილდღეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება შეუძლია. თუმცა გაითვალისწინეთ, რომ სესხება ძალიან საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაა. სესხის აღებამდე კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ ჩვენი სურვილები და მიზნები, გონივრულად შევაფასოთ ჩვენი ფინანსური შესაძლებლობები.

ბარათი 2. ეროვნული (ცენტრალური) ბანკი

ეროვნული ბანკი და ფასების სტაბილურობა

საქართველოს ეროვნული ბანკი „ბანკთა ბანკია“ და მისი მთავარი მიზანია უზრუნველყოს ქვეყანაში ფასების სტაბილურობა. ეს ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკის ამოცანაა ქვეყანაში ინფლაცია, ანუ ფასების საერთო დონის ზრდა ზომიერი იყოს და ძალიან მკვეთრად არ განსხვავდებოდეს წინასწარ დაგეგმილი მაჩვენებლისგან (3%). ამ ფასებში იმ პროდუქტების ფასებიც იგულისხმება, რომლებსაც ბაზარში ან სუპერმარკეტში ვყიდულობთ.

ეროვნული ბანკი და ფინანსური სტაბილურობა

ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობის მიზნით, ეროვნული ბანკი ზედამხედველობს საფინანსო სექტორს, რომლის ზოგიერთი მონაწილის შესახებაც სწორედ დღევანდელ გაკვეთილზე ვისწავლით. ზედამხედველობა გულისხმობს, რომ ეროვნული ბანკი არის ამ სექტორის „მსაჯი“ და მის მონაწილეებს (მაგ., ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და სხვა) უდგენს გარკვეულ წესებს. ეს წესები ფინანსური ორგანიზაციების უსაფრთხოდ და გამართულად მუშაობას უწყობს ხელს. წესების დარღვევის შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს შეუძლია ამ ორგანიზაციების გაფრთხილება, დაჯარიმება, ლიცენზიის გაუქმება ან სხვა სანქციების დაწესება.

ეროვნული ბანკი და ფულის ემისია (გამოშვება)

ეროვნული ბანკი ერთადერთი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც უშვებს ქართულ ბანკნოტებს (ანუ ქაღალდის ფულს) და მონეტებს. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი აქვეყნებს ოფიციალურ გაცვლით კურსს ქართულ ლარსა და სხვა ვალუტებს შორის, როგორიცაა დოლარი, ევრო და ა.შ.

ეროვნული ბანკი და მომხმარებელთა უფლებების დაცვა

ეროვნული ბანკი იცავს ჩვენს, როგორც საფინანსო სექტორის მომხმარებელთა უფლებებს. ამ მიზნით ის ფინანსურ ორგანიზაციებს გარკვეულ წესებს უდგენს. ამასთან ერთად, ეროვნული ბანკი მუშაობს მოსახლეობის ფინანსური განათლების ამაღლებაზეც. სწორედ ფინანსური განათლება ეხმარება ადამიანებს, გახდნენ ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი მომხმარებლები, რომლებმაც იციან, თუ როგორ დაიცვან საკუთარი უფლებები და მიიღონ გონივრული ფინანსური გადაწყვეტილებები.

ეროვნული ბანკის სხვა ფუნქციები

ეროვნული ბანკი გასცემს სესხებს კომერციულ ბანკებზე და საბანკო მომსახურებას უწევს როგორც საქართველოს მთავრობას, ისე სხვა ქვეყნების მთავრობებს, ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და ა.შ.

ბარათი 3. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

რა არის მიკროსაფინანსო ორგანიზაცია?

მიკროსაფინანსო ორგანიზაციაც ფინანსური ორგანიზაციაა, რომელიც ბანკის მსგავსად, მომხმარებლებს ფინანსურ მომსახურებას სთავაზობს. თუმცა, ბანკებთან შედარებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომსახურება ისეთივე მრავალფეროვანი არ არის და ისინი მხოლოდ გარკვეული ტიპის საქმიანობას ახორციელებენ.

რა მომსახურებას გვთავაზობს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია?

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ბანკების მსგავსად გასცემენ სესხებს როგორც ბიზნესებზე, ასევე ფიზიკურ პირებზე (როგორებიც თავად ხართ).

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სთავაზობენ მომხმარებლებს თანხის გადარიცხვას ფულადი გზავნილების სახით, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სთავაზობენ მომხმარებლებს ერთი ვალუტის სხვა ვალუტაში გადაცვლას, მაგალითად, ლარის დოლარში გადაცვლას (ანუ კონვერტაციას).

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სთავაზობენ მომხმარებლებს კომუნალური გადასახადების გადახდას.

რა უნდა გავითვალისწინოთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან ურთიერთობისას?

დაიმახსოვრეთ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს არ აქვთ უფლება მიიღონ დეპოზიტები მომხმარებლებისგან! ასევე, არ შეუძლიათ გაუხსნან მომხმარებლებს მიმდინარე ანგარიში.

როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სახელწოდებიდან ჩანს, ეს ორგანიზაციები ძირითადად უფრო მცირე მოცულობის სესხებს გასცემენ, ვიდრე ბანკები და მათი მომხმარებლები ხშირად კონკრეტული სექტორის წარმომადგენლები არიან, როგორიცაა სასოფლო–სამეურნეო სექტორი და ა.შ.

ბარათი 4. სადაზღვევო კომპანია

ზოგჯერ ისეთი რისკების წინაშე ვდგებით (მაგ., ავარია, ხანძარი, ან სტიქიური უბედურება და ა.შ.), რამაც შესაძლოა ფინანსური ზარალი მოგვაყენოს ჩვენ და ჩვენს საქმიანობას. სწორედ ასეთ რისკებთან გამკლავებაში დაგვეხმარება დაზღვევა.

როგორ მუშაობენ სადაზღვევო კომპანიები?

საკუთარი ჯანმრთელობის, ქონებისა თუ საქმიანობის დაზღვევა გონივრული გადაწყვეტილებაა. დაზღვევა ნიშნავს, რომ თუ დაზღვეული პირი მოულოდნელი შემთხვევის შედეგად დაზარალდება, სადაზღვევო კომპანია მას ამ ზარალის გამოსასწორებლად საჭირო თანხას აუნაზღაურებს. ამის სანაცვლოდ, დაზღვეული პირი სადაზღვევო კომპანიას პერიოდულად უხდის შესაბამის საფასურს, რომელსაც სადაზღვევო პრემია ეწოდება. დოკუმენტს კი, რომელშიც მოცემულია დაზღვევის პირობები - სადაზღვევო პოლისი ეწოდება.

რატომ არის მნიშვნელოვანი დაზღვევა?

ხშირად ადამიანებს ეჩვენებათ, რომ დაზღვევაში ფულის გადახდა ფულის უაზრო ხარჯვაა, რაც არასწორი მიდგომაა: მომავალს წინასწარ ვერ განვჭვრეტთ, ამიტომ, აჯობებს, თავიდანვე დავიჭიროთ თადარიგი და დაზღვევის დახმარებით ფინანსურად მზად ვიყოთ მოულოდნელობებისთვის. მაგალითად, თუ დავაზღვევთ საკუთარ ავტომობილს, მას კი ვიღაც დააზიანებს, მაშინ სადაზღვევო კომპანია აგვინაზღაურებს ზარალს.
დაზღვევის პოლისის შეძენამდე კარგად უნდა გავეცნოთ სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას, მაგალითად, კონკრეტულად რა შემთხვევაში და რა ოდენობით აანაზღაურებს სადაზღვევო კომპანია თანხას?

რა ტიპის დაზღვევა არსებობს?

ჯანმრთელობის დაზღვევა გვეხმარება სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფარვაში, რაც, დაზღვევის გარეშე, ძვირი დაჯდებოდა.

იმ შემთხვევაში, თუ **სიცოცხლის დაზღვევის** მქონე პირი გარდაიცვლება, სადაზღვევო კომპანია გარდაცვლილის ოჯახს უნაზღაურებს დაზღვევის პირობებით წინასწარ შეთანხმებულ თანხას.

ქონების დაზღვევა სხვადასხვა ქონებას, მაგ., საცხოვრებელ სახლს, გარკვეული რისკებისგან იცავს, როგორიცაა ხანძარი, წყალდიდობა, ან ყაჩაღობა.

ავტოდაზღვევა (ავტომობილის დაზღვევა) ავტოსაგზაო შემთხვევებთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს, მაგალითად, ავტომობილის შეკეთების ხარჯებს.

აგროდაზღვევა სასოფლო მეურნეობებს ისეთი რისკებისგან იცავს, როგორიცაა სტიქიური მოვლენები (მაგ., გვალვა, წყალდიდობა); შინაური ცხოველის, თევზის ან ფრინველის დაავადებები და ა.შ.

ბარათი 5. საფონდო ბირჟა

რა არის საფონდო ბირჟა?

საფონდო ბირჟა არის სავაჭრო პლატფორმა, ანუ ადგილი, სადაც ხდება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. ფასიანი ქაღალდების ძირითადი სახეებია აქციები და ობლიგაციები.

აქცია ფასიანი ქაღალდია, რომელიც ადასტურებს, რომ ესა თუ ის პირი ფლობს წილს კომპანიაში. აქციის მფლობელს აქციონერი ეწოდება. რაც უფრო მეტ აქციას ფლობს აქციონერი, კომპანიის მით უფრო დიდი ნაწილი ეკუთვნის მას. ზოგჯერ კომპანია თავის აქციონერებს მოგების ნაწილს უხდის. ამ თანხას **დივიდენდი** ეწოდება.

ობლიგაციას უშვებენ კომპანიები და მთავრობებიც. თქვენ მიერ ობლიგაციის შეძენა ნიშნავს ფულის სესხებას იმ კომპანიისთვის ან მთავრობისთვის, რომელიც უშვებს ობლიგაციას. ობლიგაციის მფლობელი, ანუ ობლიგაციონერი გარკვეული პერიოდულობით იღებს შემოსავალს საპროცენტო სარგებლის სახით. თუმცა ის, აქციონერისგან განსხვავებით, კომპანიის წილის მფლობელი არ ხდება.აქციონერისგან განსხვავებით, ობლიგაციის გამომშვები კომპანიის წილის მფლობელი არ ხდება.

რატომ უშვებენ კომპანიები აქციებსა და ობლიგაციებს?

კომპანიის მიერ საკუთარი აქციების ან ობლიგაციების გაყიდვა ფულის მოზიდვის კარგი საშუალებაა. ეს ფული კომპანიას შეუძლია ახალი პროდუქტის შესაქმნელად, კვლევების ჩასატარებლად, ახალი თანამშრომლების დასაქირავებლად, კომპანიის განვითარებისთვის ან სხვა მიზნით გამოიყენოს.

როგორ ხდება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა?

ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე ხდება, სადაც ფასიანი ქაღალდების ფასი ყოველდღიურად იცვლება. როდესაც ინვესტორი ყიდულობს აქციას, მას აქვს იმედი, რომ სანამ ეს ფასიანი ქაღალდი მას ეკუთვნის, აქციის ფასი გაიზრდება და შემდგომ, შეძლებს ის გაყიდოს უფრო ძვირად, ვიდრე შეიძინა. თუ ასე არ მოხდება, მაშინ გამოვა, რომ ინვესტორმა თანხის გარკვეული ნაწილი დაკარგა.

რას ნიშნავს ინვესტირება?

ზოგადად, **ინვესტირება** ნიშნავს არსებული რესურსის (ფულის, დროის, ა.შ.) რაიმე საქმიანობასა ან რაიმე ნივთში (აქტივში) დაბანდებას მომავალში სარგებლის მიღების მიზნით. ფასიან ქაღალდებში ინვესტირებით შესაძლებელია სარგებლის მიღება. თუმცა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებას საჭიროებს.

ფასიანი ქაღალდების შეძენაში ინვესტორებს შუამავლები - იგივე **ბროკერები** ეხმარებიან. ინვესტირებამდე, ბროკერი ინვესტორს აწვდის იმ ინფორმაციას, რომელიც ფასიან ქაღალდის რისკებს უკავშირდება. თავის მხრივ, ინვესტორმაც უნდა მოიძიოს საჭირო ინფორმაცია იმ კომპანიის შესახებ, რომლის აქციებსა ან ობლიგაციებშიც აპირებს თანხის დაბანდებას.